# თოლაბულისის სარტყელი

№ 2.

ტფილისი, 1919 წ.

მაისი.

გალაკტიონ ტაბიძე.

# ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი.

ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი.
მწუხარე თვალებით მიწას დაჰყურებდა.
მშვიდობით, მშვიდობით! ამაოდ დაგენდე
ელვარე საღამოვ ალმას საყურეთა!
ბაგეთა ლოცვაო, ლილება და ძეგლო,
უთუოდ მახსენებ ოდესმე... ოდესმე!
გრაალის კოშკები, ლილიის სამრეკლო
შენს ფეხთქვეშ დაიმსხვრა და გლოვა მომესმა.
ოჰ! როგორ გაფითრდა ციურთა თანადი
ოცნება, ნახაზი: საგანთა უარით
ღრუბელი ფერადი და ალვა ტანადი
რომელსაც აზიის ცით გადავყურეთ.
ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი
და ფოთლებს ისროდა სიფითრე ბარათის.
ამაოდ დაგენდე, და ჩვენ ერთმანეთი
ამაოდ გვინდოდა! მშვიდობით მარადის!
ქარვათა მორევში დაეშვა ფარდება—
საღამო კანკალებს შიშით და რიდობით—
საღამო ნელდება და კვდება ფარდები...
მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით.

ივ. ყიფიანი.

## მარსელი.

გნოლები ატირდენ გარდაცვლილ ბადებში.
უეცრათ შეირყენ მსოფლიოს მკვიდრები.
კოშკები დაიმსხვრა მეწყერის ტალღებში.
შეშლილი ძახილით გავრინდენ მინდვრები.

სამარეთ გარდიხსნა ქვეყნები მხატვრული.
წითელმა ყორნებმა დაგლიჯეს ტიტანნი —
და მთები ალისფერ სისხლის მონატრულნი
ნელი-ნელ დაითვრენ ვით მიკიტანნი.

რაშები აცეკვდენ ლითური ხმაურით.
ძეგლებით წარმოსდგა ველური ზმანება.
მღერაში ჩასავრდა კვნესა უცნაური.
ძძები ჩაიცვეს მოცინარ ზარებმა.

აკაკი ბერეკაშვილი.

## ცისკარი ფანჯარაში.

დაზრახულ სურვილებს შემოვახვევ შავ ცნებისაგან შეჭორილ შავს
სუდარას.
შებოჭილი გრძნობების ყვითელ ჩარჩოს გულისთქმის ცეცხლზე
დავსწვავ.
ბრბოს აზრს სულის თავისუფლებით დავახრჩობ...
შურის ძიებად გადმოწვდილ ცნებს, შეუპოვრობით დავამუნჯებ.
და ჩემს ოცნებას მოსეს კვერთხად ავღმართავ, — ახალი ცხოვრების
შესაქმნელად —
შენი სიახლოვით, შენთან ერთად ..
სივრცეში ოცნებათ გაგაფრენ...
სიზმარ-ცხადათ გაგხდი, — გაცუნების საზღაპროდ და მერე ჩემი
სულის საიდუმლოს გაგიმჟღავნებ...
ას ცამეტ მინიატიურას დავსწერ — სოცრების წამებს სიტყვებათ
ავქარგავ და მით შენს სახელს შევამკობ...
აი, ჩემი ძალა, ჩემი სიმდიდრე.
შენ რას იტყვი სიზმარო?;
ეს შენ სათუთ სახეს არ შეეფერება?!..
წამომყევ: წამომყევ — სიზმრათ წავიდეთ, ზღაპრულ ქვეყანაში და
სული სულთან დავაქორწინოთ./..
აქ მეშინია, გაცუნების სულის ოფეშა თეთრი ოცნება არ დამა-
ჭლექიანოს.



დავით კაკაბაძე. „ნახაზობა“.

გრიგოლ ცეცხლაძე.

# გაჭენებული მონუმენტი

მხიარულ სახეებს ენიშნათ სიტყვები
არმაზი არ გვინდა არმაზი არ არის
ყველა ასილალდენ ხმლებით და ტყვიებით
რაინდების იწვევენ თვალები საჭუარის
დროშები იტაცებენ ბრბოს წითელ ფერებით
სისხლიან ხელებით
ტაშს უკვრენ მკვლელები
ავაზაკთ დაუდგათ სანატრი დროება
იმათ არ უყვარდათ ქუჩის მყუდროება
დალეწეს დალეწეს აიკლეს ბაზარი
სიბრაზით იხრჩობა ვაჭარი გულხარბი
თავქუდმოგლეჯილი
გარბის
დარეჯილი...
არის ღრიანცელი და ამოძახილი
გავსწორდეთ
გავსწორდეთ
შორს დინჯი სითრთხილე...
სისხლიან ყიჟინით ხალხის ბელადები
მოწოდებებს სცემენ
იფხიზლეთ ძმანებო
თავზარდაცემულნი ძრწიან თავადები
როგორც მოხალული ივლისის ზმანება
მეფე დაემგზავსა საცოდავ მათხოვარს...
მიუწდომი იყო ოქროს თმებში ბანტი
უწინ ამაყობდენ მათი დანახვითაც
ეხლა მეფის ქალებს ბანტიც გვერდს აუვლის
რომ ალი ეხვევა
სასახლის შერყევას...
პატიოსნათ მოკვდენ თეთრი ყაჩაღები
ალისფერი სისხლით მკერდი შეღებათ
აღარ არიან მაგრამ სულ მდაბალთ ეხლაც შეაშინებს მზერა
მათი მაუზერის...
საუკუნო იყოს ხსოვნა მეგობრებო
მე მათთვის სონეტებს უთვალთვის ავანთებ
იქნება ლექსებში ბერდანკით ფრიალი
ტერორი მიცინვი დროშების
ფრიალი

ლადო მაჭავარიანი.

# ქ უ თ ა ი ს ი.

თეთრი სამკაული. ჩემი ქუთაისი.
მწვანე ყვავილა. გელათის შარა-გზა.
ბაგრატის თვალებში ნასვენი აისი.
მწუხრვალე ლოცვებით ნაკურთხი თეთრი ბზა.
ოლასკურაზე მკვდარი სათლავები.
წყალწითელისკენ იშლება ნახირი.
რიონის რკინის წელი. ფოლადის მკლავები.
ბალახვანში ცრუ პარიკმახერი.
ქალაქის ბაღში ქალვაჟთა მწკრივი.
ღამემ თუ იცვალა უეცრად ნირი
სათვიჩხიაზე ატყდება კრივი.
მოჰყვება ჭორები ათასნაირი.
ცეცხლად დაიწვება სიცივით სავალი.
ზამთრის მჭლე სხეული ჩ მოხმება ზეზე.
თუ გაზაფხულის აუნთო თვალი.
ყინულიან დილას ჯვარს დასწერს მზეზე.
მწვანე ბაზარი. პარასკეობა.
უგნური თუ ლები სოფლური ქცევით.
დატეხილი სიტყვების ცალცალკეობა
რბილდება მასის მზის გადაქცევით.
წინდა წინდის ჩხარი. მეძველე ურია.
უზალთულოდ ჩითები. ყურძნობა. ყაფანი.
ქალ ლდის თუმანი სპილენძის მაური.
დოქები. ხელადები. გ'ცვლა ქალამანი.
ჩემი ქუთაისი. ჭურები. მარხები.
იწვის აზიურად, იწვის სიზმარივით.
მოხვეული ქუჩები ფერწასულ ფარნებით
წელზე ერტყმებიან ქალაქს ქამარივით.

…19 წელი.

რაჟდენ გვეტაძე.

# საფირონის ნაწნავი.

ა.

## ტრიოლეტი.

ჩემს შვილს: რამაზს.

მაცხოვრის სახე შევიყვარე კეთილი, ნაზი,
და წრფელ ლოცვებით მას ვავედრებ საყვარელ რამაზს.
რომ უკვდავი ვით ჩვენი გვარი — მიჭირავს საზი.
მაცხოვრის სახე შევიყვარე კეთილი, ნაზი.
შვილის ალერსი დარდს მავიწყებს და როგორც ვაზი—
ვეხვევი ხშირათ და ვუკოცნი თეთრ სახეს ლამაზს.
მაცხოვრის სახე შევიყვარე კეთილი, ნაზი,
და წრფელ ლოცვებით მას ვავედრებ საყვარელ რამაზს.

ბ.

## Memento mori.

შენ ირთოდი ისე სიცივეში როგორც ხბოს ტანი.
მე საყვედურით გიცქეროდი სახე მადლიანს,
რადგან ზამთარმა დამითალხა ბაღი, ბოსტანი.
და შენის ხელით მიმზადებდი საფლავს მატლიანს.
როცა ასკილმა ფანჯარასთან თავი დახარა—
შენს ნაზ სახეზე აბოროტდა ღიმი კეთილი.
ჩუმმა ბოდვებმა, შევამჩნიე, რომ გაგახარა
და წასასვლელად გამოაღე კარი კეტილი.
ვფიქრობ: ვიყავი, არ ვიქნები... ვფითრდები ჯავრით—
როცა ხმა მესმის ურჩინარი, დადასტურების.
ინგრევა სახლი ქარისაგან, ნახური ყავრით,
მაშინებს ღამე. კატები და ჩხუბი ტურების.
როცა ვიგონებ ჩვენს სიყვარულს—(რა ძვირფასია?)
შენი სიყალბე არ მაკვირვებს რომ იჩარხება.
რადგან სიავით, სიკვდილი ცვლის მდიდარ ხასიათს,
ცივია მიწა... კაცის ხსოვნაც მიკ იმარხება,
არავისი ვარ მადლიერი, წუთის მზვერავი.
და როს მოვკვდები, აქარვდება სახე ბედური—
(თუმცა ჩემს სიკვდილს ვერ გაიგებს დიდხანს ვერავინ)
არვინ მიტირობს, მე ამ ქვეყანათ ყველას ვუმდური.

შალვა კარმელი.

# მარგალიტის მანიაკიდან.

## მეფის ქალი კაბარეში.

ლალის დარბაზში მოიდალა ლხინი მარადი.
დედოფალს მთვარე ფანჯრებიდან ორეულს უდრის.
დაკრთის ლეილა ვარსკვლავეთში ნაზ-ნარნარადი
და შუშპარობენ სეფექალნი დათოვილ პუდრით.
შეჯიბრებაში მოთარეშეს ვხედავ პარიკებს.
აჩალებს ქეიფს ბანოვანი მეჭორხაბარე.
ნადდი ზარხოში ეთმარბაზებს ათოხარიკებს,—
ნელა იწვება და ზეიმობს მთვარის კაბარე!

მთვრალ მუსიკაში ირკალება მწყობრი კადრილი.
ჭავრს აბრუებს სურნელება ცხელ სიხარულის.
და მეფისქალი ღვთაებთივი და უკადრელი,—
როკავს ლურჯ გედათ მბრძანებელი მსუბუქ მარულის!
სარკულ ჩვენებათ მოლანდაობს ამპარტავნებით.
ცქერის ტალღები ეჯახება მკერდის ფიორდებს.
ოქროთვალ ქოშებს ამზეურებს ფეხი თავნებით,—
როცა იტაცებს ჩემ ჯირითში ნაზ ხარდიორდებს!

ყინაშლილ ქალებს აყოლიას გუნდი კეკშილი.
მოედვა დარბაზს: წვა, სიგიჟე, ხარბი დათრობა...
ტახტის ამაღა წუთს დარაჯობს თვალდაგერშილი,...
მაგრამ ანელებს კვლავ თაკადებს მეფის ხათრობა!
ჩვიდმეტ ზამბახათ დაიშალა თეთრი ფერხული.
მხოლოდ ერთ ზამბახს ეტმასნება ფიქრთა ხვანჯები...
ჩემი დუმილი სასახლეში დღეს უხერხული,—
თორემ ბედია ლეილასთვის რომ ვიტანჯები!

მალე მუტრიბნო! მეფისქალი ზეიმს მორდება!
ჩემ განშორების აახუვლეთ ჩანგი—ჩაღანა.
მარგალიტები ჩვენს თვალებში ახომორდება.
ურუ მისტერია დღეს ლეილას ყარმაღანა!
ბატონიშვილებს გაახურებს ლოდში ჩალიჩი.
იანვრის ქარი გულანთებულთ ვერ გაგვაცივებს.
იშლება ველი საჯირითოდ მოსახალიჩი,—
მივსდიოთ ყველამ მეფისქალის ლანდურ გრაციებს!..



ვლ. გუდიაშვილი. XII-ტე საუკუნე.

ყოველთვიური **ᲗᲝᲚᲐᲑᲣᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲠᲢᲧᲔᲚᲘ** ჟურნალი

ფასი სამი თვით — 15 მან. ცალკე ნომერი 6 მან.

მისამართი — თბილისი, სას. ქუჩა; № 5.

„თოლაბულისის სარტყელის“ რედაქცია.

რედაქტორი: გრიგოლ ცეცხლაძე.

---

დაიბეჭდა და იყიდება

# გალაქტიონ ტაბიძის

# ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ.

ტ. II.

# CRÄNE AUX FLEURS ARTISTIQUES,

(1914—1919)

---

თიბათვეში გამოვა **გ. ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲘᲡ** პირველი წიგნი:

,,ქებასხები'', ,,ცივი ხავრუზი'', ,,საქართველო''.

# შინაარსი


გალაკტიონ ტაბიძე . . . ანგელოზს ეჭირა ძოძელი პერგამენტი.

ივ. ყიფიანი . . . . მარსული.

გრიგოლ ცეცხლაძე . . . გაჭენებული მონუმენტი.

ლადო მაჭავარიანი . . . ქუთაისი.

შალვა კარმელი . . . მარგალიტის მანიაკიდან.

რაჟდენ გვეტაძე . . . საფირონის ნატეხები.

აკაკი ბერეკაშვილი . . . ცისკარი ფანჯარაში.


## რეპროდუქციები


ვლ. გუდიაშვილი . . . XII საუკუნე.

დავით კაკაბაძე . . . „ნახაზობა“.



რედაქტორი გრიგოლ ცეცხლაძე.

ფასი 6 მან.